№20130410 10 აპრილი 2013 წ.

სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივის“
გენერალურ დირექტორს
ქალბატონ თეონა იაშვილს

ქალბატონო თეონა,

მოგახსენებთ, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) 05. 02. 2013 წლის №20130202 წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, შუამდგომლობის თხოვნით, რომ იქნას გადახედილი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 506 დადგენილების მიხედვით საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული არქივის“ მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობები, გადახდის წესი და მომსახურების ვადები და ასევე გაუქმდეს არქივში დოკუმენტის გაცემისთვის დაწესებული საფასური.

აღნიშნულთან დაკავშირებით, 2013 წლის 20 თებერვალს სსიპ ეროვნული არქივიდან IDFI-იმ მიიღო პასუხი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნულია, რომ იგეგმება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 506 დადგენილების პირველი ნაწილის მერვე პუნქტში „სამკითხველო დარბაზში მკვლევართა მომსახურება - საქმეთა გაცემა“ საქართველოს მთავრობისთვის ცვლილებების და დამატებების წინადადების წარდგენა, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება დოკუმენტების დედნების ან მათი ციფრული ასლების მკვლევარებზე უფასოდ გაცემა.

გთხოვთ, გვაცნობოთ, როდის იგეგმება აღნიშნული ცვლილებების და დამატებების პროექტის წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის და ასევე, თუ არის გათვალისწინებული მასში დოკუმენტების დედნების ან მათი ციფრული ასლების მკვლევარებზე უფასოდ გაცემა.

მადლობას გიხდით წინასწარ პასუხისთვის.

ღრმა პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი
დირექტორი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო * სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
ელექტრონული დოკუმენტაციის მართვა
11. 04. 2013